№1062 2015 წლის 25 მაისი ქ. თბილისი

2015 წლის განმავლობაში ფიზიკური პირებისათვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, დროებით სარგებლობაში გადაცემაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეთ თანხმობა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, მათ ბალანსზე რიცხული სახელმწიფო ქონება – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, დროებით სარგებლობაში გადასცენ ფიზიკურ პირებს.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**